ოქმი N 4

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 8 თებერვალი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოქაძე
5. აკაკი ხურცილავა
6. როლანდი სერგია
7. გია წულაია
8. გოჩა ჯობავა
9. ლაშა ცატავა
10. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის ა. ვარდიას 01.02.2018 წლის №15/480 წერილის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

2. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.
კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის ა. ვარდიას 01.02.2018 წლის №15/480 წერილის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიაში შემოსულია ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის ა. ვარდიას 01.02.2018 წლის №15/480 წერილი, რომლითაც წარმოდგენილია კომისიის მიერ გაწეული მუშაობის 2017 წლის ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2017 წელს შემოსულია 1035 განცხადება, განხილულ იქნა 625 განცხადება, საიდანაც 285 განცხადება დაკმაყოფილდა და გაიცა საკუთრების მოწმობა. 340 განცხადებაზე მიღებულია უარყოფითი გადაწყვეტილება, 86 განცხადება დარჩა განუხილველი, 324 - განხილვის სტადიაშია.

მომხსენებელმა კომისიას შესთავაზა, ზემოაღნიშნული ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს ინფორმაციის სახით.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2017 წლის მუშაობის ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს ცნობის სახით.

2. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ თანახმად საჯარო დაწესებულება ვალდებულია საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაცია გახადოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და პროაქტიულად გამოაქვეყნოს საკუთარ ელექტრონულ რესურსზე,

რაც შეეხება დაინტერესებული პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების უფლებამოსილებას, ეს უფლება გაწერილია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით, მომხსენებელმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც განისაზღვრა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა და მათი გამოქვეყნების წესები, ასევე დაინტერესებული პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის სტანდარტები. მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ დადგენილების პროექტი შეთანხმებისთვის უნდა გადაეგზავნოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დადგენილების პროექტი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ინიციირების წესით განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" თანახმად განისაზღვრა მოქალაქეთა უფლება პეტიციის ელექტრონული წესით წარდგენის თაობაზე. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", სადაც დეტალურადაა აღწერილი პეტიციის ელექტრონულად წარდგენასთან დაკავშირებული პროცედურები დადგენილების მე-100[1] მუხლში. ამასთან რეგლამენტის მე-100 მუხლი, რომელიც შეეხება პეტიციის წარდგენასა და განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურებს ყალიბდება ახალი რედაქციით.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტის ინიცირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ინიცირების წესით განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პეტიციის წესით საკრებულოში შემოვიდა განცხადება საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის წესთან და პროცედურებთან დაკავშირებით, კერძოდ, პეტიცია შეეხებოდა საკრებულოს წევრების მხრიდან ამომრჩევლებისთვის ანგარიშის ყოველ სამ თვეში წარდგენას და ანგარიშის ტიპური ფორმის საკრებულოს მიერ დამტკიცებას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად განსაზღვრულია ვალდებულება, საკრებულოს წევრმა, წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩევლებს წარუდგინოს დეტალური ანგარიში გაწეული საქმიანობის თაობაზე და კომისიას შესთავაზა, აღნიშნული დარჩეს უცვლელად.

ამასთანავე, მიზანშეწონილია ზემო აღნიშნული ანგარიშის წარდგენის ოქმი დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულებით, პეტიციის მოთხოვნის შესაბამისად, და კომისიას წარუდგინა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმის დამტკიცების თაობაზე“.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმის დამტკიცების თაობაზე“ ინიციირების წესით განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს:მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებებისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ახალმიღებულ კანონთან „საჯარო სამსახურის შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიზანშეწონილია მომზადდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ახალი დებულება და კომისიას წარუდგინა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა საკრებულოს აპარატის საქმიანობა. წარმოდგენილი დებულებით საკრებულოს აპარატი ახორციელებს საკრებულოს ორგანიზაციულ, სამართლებრივ, მატერიალურ-ტექნიკურ, ანალიტიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას; ერთიან საქმისწარმოებას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით; მოსამსახურეთა საქმიანობის ხელშეწყობას; საკრებულოს კავშირურთიერთობების ორგანიზებას საზოგადოებასთან და დაწესებულებებთან.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ინიცირების წესით განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია